საქართველოს კანონი

„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 27.02.2023, სარეგისტრაციო კოდი: 040090000.05.001.020812) 94-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 94. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საჯარო შესყიდვის შემოწმება

შემსყიდველი ორგანიზაცია/ცენტრალური შემსყიდველი ორგანო, პრეტენდენტი, მიმწოდებელი და ქვეკონტრაქტორი ვალდებული არიან სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მისი მოთხოვნით აუდიტის ჩასატარებლად წარუდგინონ საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

25 ივნისი 2026 წ.

N1832-Vმს-XIმპ